კავშირი მასწავლებლის სტრატეგიებსა და სსსმ მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობის ზრდას შორის

ნანა გაბაძე

მარიამი მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

,,წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა გაბაძე, მარიამი მაისურაძე

22.06.2024“.

მადლობა

მადლობას ვუხდით, კვლევაში მონაწილე სკოლის ადმინისტრაციას, მონაწილე პირებს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო გოგიჩაძეს, რომლელიც აქტიურად გვაძლევდა რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში.

აბსტრაქტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის კვლევაში, მონაწილეობას იღებდა ორი საგნის მასწავლებელი. პრაქტიკის კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობისათვის სჭირდებოდა სწავლის ეფექტური სტრატეგიების მორგება და მასწავლებლებს ამ კუთხით გაძლიერება. ინტერვენციის განმავლობაში მასწავლებელი იყენებდა, მკვლევრების მიერ ტრენინგით მიწოდებულ და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლის სტრატეგიებს, როგორიცაა დავალებისთვის დროის გაზრდა, ვიზუალური სასწავლო მასალა, ინსტრუქციის გამარტივება, გათამაშება, პოზიტიური უკუკავშირი. მკვლევრები ინტერვენციის პროცესში, ყოველდღიურ უკუკავშირს აძლევდნენ მასწავლებელს, სწავლის სტრატეგიების გამოყენების თაობაზე. შეთავაზებული სტრატეგიების დანერგვის შედეგად, მოხდა მოსწავლის ჩართულობის გაზრდა, დავალების შესრულების ინდიკატორი დაკვირვების პროცესში იყო 1, ინტერვენციის დროს კი 4-მდე გაიზარდა. მოსწავლე ასრულებდა და არ აპროტესტებდა მიცემულ დავალებებს, ერთვებოდა კლასის შესაბამის აქტივობებში. ინტრევენციის შემდგომ პერიოდში მასწავლებელმა შეამცირა, არსებული სტრატეგიების გამოყენება, რამაც გამოიწვია მოსწავლის ჩართულობის შემცირება საგაკვეთილო პროცესში.

ნაშრომი ადასტურებს, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლის ეფექტური სტრატეგიები იწვევს მოსწავლის აკადემიური ჩართულობის ზრდას, მაშინ როდესაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს შესაბამის უკუკავშირს, უმარტივებს ინსტრუქციებს და აწოდებს ვიზუალ მასალას.

საკვანძო სიტყვები: სსსმ მოსწავლის ჩართულობა, მასწავლებლის სტრატეგიები.

Abstract

The teachers of two subjects participated in the study on engagement of students with special educational needs in the learning process.

The practice research revealed that students need effective learning strategies in order to engage in the learning process, while teachers need to strengthen in this regard. During the intervention the teacher used the teaching strategies provided by researchers via training and adapted for the individual needs. Strategies such as - increasing time on task, visual materials, simplifying instruction, playing and positive feedback.

Researchers gave daily feedback to the teacher during the intervention. As a result of the implementation of these strategies, the student's engagement increased. The task performance indicator was 1 during the observation process and increased to 4 during the intervention. The student performed the given tasks, did not object, and was involved in the relevant class activities.

In the post-intervention period, the teacher reduced the use of existing strategies, which caused a decrease in the student's engagement in the learning process.

The paper confirms that effective teaching strategies used by the teacher increases student academic engagement, when the teacher provides appropriate feedback to the student, simplifies instructions and provides visual materials.

Key words: engagement of students with special educational needs in the learning process, teacher's strategies.

სარჩევი